ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2024 წლის 4 მარტი

ქ. თბილისი

„ქურთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქურთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 იანვრის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/01/2024, 010250050.35.146.016234) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგად დაზარალებული იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ქურთის მუნიციპალიტეტში, მიეცეთ ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 4000 ლარისა“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ქურთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად ქურთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიეცემათ 300 (სამასი) ლარის ოდენობით“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქურთას მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით თუთარაშვილი**